

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.


ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

უძველ დღე მრგვაბათს გარდა

ფასი განსაზღვრის: დღე ასოებით ასოზე—1 კაპი, ასო-წილად სტრიქონზე—3 კაპი, ნეტო-ბრივის ციფროთი—5 კაპი, პარასკევი—4 კაპი.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შემოკლოს დასაბედათ გამოგზავნილი სტატიები, დაუბედავლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.



ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

ზამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მწერა

მთელის ში მიიღება რედაქციაში ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газету „Дროება“.

გაზეთის ფასი

- მთელის წლისა — — 8 მან.
- მქვისის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი თებერვლიდან წლის დამლევამდინ 7 მან.

შული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ტაშკანტი, 12 თებერვალს. ღღეს მოვიდნენ აქ ავღანის ელჩები.

ტირნოპოლ (ბოლგარია), 13 თებერვალს. ბუშინ, ბოლგარიის წარჩინებულ პირთა (დებუტატთა) კრების განხნის დროს, თ.

ფალტონი

მიზეზი ბათუმის ქართველების გარდასახლებისა

(წერილი მაჭახლიდან)

რამოდენიმე მიზეზი აქვს აქაურ ხალხს მსმალეთში გადასახლების.

1. სასულიერო წოდება. სადა არა აქვთ გაყლინა სამღვდელთა პირთ! სადაც დასავლეთის ქრისტიანებში განათლებულ მკროპაში უპირატეს როლს თამაშობენ, რა გასაკვირველია ესრეთ ველურ ხალხში, როგორც მაჰმადიან საქართველოში, გავლენა ჰქონდეს.

მსენი არწმუნებენ ხალხს, რომ რამაგისთანამ კეთილი მუსულმანი იყოს, გინდ არაფერი ცოდვა არ ქონდეს და მოკვდეს და დაიბაროს იმ ქვეყანაში, რომელიც ეკუთვნის „გიაურს“, მაშინ

დანდუკოვ-ძორსაკოვა სთქვა, რომ კრებამ თავისუფლად უნდა გამოასთქვას თავის აზრი; იმას შეუძლიან განიხილოს და, თუ საჭიროდ დაინახეს, შესცვალოს სახელმწიფოს წესდების (კონსტიტუციის) პროექტი.

საქართველო

ღლიური

* * * ამ თებერვლის 12-ს აქაურს ტენიკურს საზოგადოებაში იყო მოლაპარაკება იმ რკინის გზის შტოს თაობაზედ, რომლის გაყენასაც აპირებენ შუთაისიდან ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნამდინ.

ამ მოლაპარაკების დროს აღმოჩნდა, რომ ეს ადგილი ჯერ მთავრობის ინჟინერს გამოუკვლევია და შემდეგ შუთაისი-მთილისის რკინის გზის კამპანიას. ამ უკანასკნელის პროექტით ტყიბულის რკინის გზის შტო დაიწყება შუთაისიდან და მიდის წყალ-წითელას ნაპირზე, რომელსაც მერვე ვერსზე გადასჭრის სოფ. ბელათთან, საიდანაც მიჰყვება სოფ. ნაბოსლეგსა და შანას; ამ სოფლიდან მოშორებით სამს ვერსზე გზა გადავა შანის-წყალაზე, შემდეგ გაივლის სიცხეთს და მდ. ტიციურისა და ტყიბულის ნაპირით მივა თვითონ ტყიბულის მადნამდინ.

სიგრძე ამ გზისა იქნება 39 ვერსი და 240 საყენი. სამი სტანცია ექნება ამ

შტოს: ერთი ბელათში, მეორე სიცხეთს და მესამე ტყიბულს.

მთელ საქართველოს უფროსმა უფ. შტიმანმა და ინჟინერებმა საროკინმა და მოშულმა ერთხმად გამოაცხადეს საზოგადოებაში ის ჰაზრი, რომ ტყიბულის ნახშირი ბევრად სჯობიან ბელათისასო, აუცილებელად საჭიროა ამ უმთავრეს შტოლამ სხვა შტოებიც იქნეს გაყენილიო, საცა კი ქვა-ნახშირის მადანი არის გამოჩენილიო და სხვ.

* * * შუთაისიდან გვეწერენ, რომ გასულ იანვრის 31-ს იქაურ ქართული სცენის მოყვარეებს წარმოდგენიათ მოლოიერის კომედია „სკაპენის ცულ-ულუტობა“ და ვოდველი „მოტიცა“. შემდეგ 7 თებერვალს ყოფილა მეორე წარმოდგენა, უთამაშნიათ თ. ბ. შრისთვის კომედია „მაყრა“ და ვოდველი „ახირებულო უბედურება“. ორივე წარმოდგენა, ჩვენის კორრესპონდენტის სიტყვით, კარგათ წასულა, განსაკუთრებით კი „სკაპენის ცულუტობა“.

* * * ქართული სცენის მოყვარეთა როგორც გვიტხრეს, მოლაპარაკება აქვთ ამ ჟამად იმაზედ, რომ სამუდამო ქართული ტრუპა შეადგინონ მთილისში, რომელიც კონტრაქტით უნდა შეეკრას უფ. არწრუნის, როდესაც იმის თეატრი მზად იქნება. ბევრი ლაპარაკი არის იმაზედ—თუ როგორ, რა წესდებით უნდა შესდგეს ეს ტრუპა, ვინ უნდა იყოს გამგებელი და რეჟისორი, როგორ მოაგრო-

მუსულმანი ისე არ ცხონდება როგორც გიაურიო...

ეს ძრიელ აღონებს უმეცარ ხალხს. ღღემდინ არწმუნებდენ, რომ, ვისაც სულთანის ბარათი არა აქვს ჯამეში, იქ ჯუმა დღე და ბაირამი არ იდღესასწაულებოა. როდესაც ამის წინააღმდეგ გზაუში ხმა, რომ რუსეთის ქვეშევრდომნი არ არიან შირიმის და შანანის თათრები, დაღისტნელი ლეკები და სხვანი, ისინი როგორ ასრულებენ თავის რჯულს,—დასარდვევლათ ამისა ეწლა ასე ქადაგებენ მოლები:

„შემდეგ მაჰმადისა იყენენ ოთხი ძმანი იმაგები: იმამი შაიფი, იმამი მშბელი, შალიქ და აპაზემი.“

იმამ-შაიფის წესს ასრულებენ შირიმი და დაღესტნის ლეკები; იმათი წესით სადაც ორმოცი კაცი შეიყრება; ყოველგან ასრულებენ ღღესასწაულს ჯუმა და ბაირამს.

„იმამ-მშბელის წესს ასრულებს ბუხარეთი.“

„იმამ-შელიქის წესს ასრულებს არაბისტანი და იმამ-აპაზემის წესს ვასრულებთ ჩვენო, ეს იყო უმფროსი ძმა და ისეთი მადლიანი, რომ როცა დაჯდებოდა, თავს ჩაღუნავდა და თვალბეზებს ათფარებდა, მთელ ღუნას ხედავდაო. იმისი წესით სულთანის ბარათი საცა არ არის ჯამეში, მადლი არა აქვთო...“

„შველა ესენი მაჰმადიანი არიან; მაგრამ მწთი წესი რომ დაიკავეს ჩვენმა გურჯმა, ორმოც არგანს დაკერენ და ჩვენს წესზე რომ მათი კაცი გადმოვიდეს, ქურქს ჩააცმევენ—ისე უპირატესი არის ჩვენი რჯულიო.“

მეორე მიზეზი არის ბეგები და აღიები, რომელიც ავიწროებენ ხალხს. წერილი ხალხი ამბობს: ჩვენ გვეგონა გასავალი მოუცვდებოდათ ჩვენ ბეგებსო და ვატყუებდით მსმალთში წამოვალთ



ვონ ფული ტანისამოსისა თუ სხვა ნივთების შესაძენელად, რომელიც სცენას დასჭირდება და სხვ.

ამბობენ, რომ სომხებს ამ მიზნით, ე. ი. სცენისათვის საჭირო ნივთების (ტანისამოსისა და რეკვიზიტის) შესაძენად ცხრა-ათასი მანეთი მოუფროვებიათ ხელის-მოწერით.

როგორც შევითვით, ჩვენი სცენის მოყვარეებიც ამავე გზით აპირებენ თეატრისათვის ფულის მოგროვებას. დასაწყისი ჩვენებს კარგი აქვთ: როგორც შემოთ მოვიხსენებთ, უფ. მაიორმა იოსელიანმა 2,000 მანეთი შესწირა თეატრისათვის.

ამ საგანზე ჩვენ ამ მოკლე ხანში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

* * * თუ შეთიღამ გვწერენ: „თუშები ძალიან თანაუგრძობდნენ შკოლას. დიდის სიხარულით გზავნიან იქ თავიანთ შვილებს და ცდილობდნენ, რომ ასწავლონ იმათ რაიმე. ბანსაკრთრებით სურსთ, რომ ქართული ენა კარგათ ისწავლონ იმათმა შვილებმა, რის გამოც ბევრი სთხოვს მასწავლებელს, რომ სწავლის დროს, ე. ი. როცა შკოლაში არიან მაინც მუდამ ქართულად ალაპარაკოს შავირდები.“

„ქაური ყმაწვილები ძალიან ნიჭიერები არიან. ბევრმა 6—7 წლის ყმაწვილმა წმინდათ იცის თუშურთან ქართული ლაპარაკიცა, თუმცა ოჯახში დედამამისაგან ის ვერ გაიგონებს ერთ ქართულ სიტყვას და საზოგადოთ მთელ თუშეთშიაც იშვიათად ლაპარაკობენ ქართულს; მხოლოდ ქართველებს თუ შეხვდებიან და დაელაპარაკებიან ხოლმე, თორე სულ თუშურ ენაზედ მიდის ლაპარაკი. შკოლაში რომ ქართულის არა მცოდნე „ბაღლი“ შედის, ორსამ კვარაზედ სრულიად იგებს იმას.“

„სწავლა ალვანის შკოლაში დაიწყო 24 გიორგობისთვიდამ, რადგანაც მთელი ენკენისთვის განმავლობაში მასწავლებელი თფილისში იყო და ოქტომ-

ბერში და 24 გიორგობისთვიდამ შავირდები არ დადიოდნენ,—თუმცა იცოდნენ მასწავლებლის მოსვლა და ამ უკანასკნელმანაც რამოდენჯერმე გამოაცხადა ყრილობაში, რომ გამოგზავნონ შკოლაში შვილები. ამის მიზეზი, ვგონებ ის იყო, რომ მასწავლებელი გამოიცვალა, ძველი წავიდა და ახალი მოვიდა. იქნება დღემდინაც არავის გაველო შკოლაში, რომ ერთ მოულოდნელ შემთხვევას არ მოემართა ხელი იმ ხანებში უ. დირექტორისაგან მოწერილობა იყო, რომ დუშეთ-თიანეთის სასწავლებელში მიიღებენ სახელმწიფო ხარჯით თუშების ყმაწვილებს, ნასწავლებს ადგილობრივ სასწავლებელშიო. მასწავლებელმა გამოუცხადა ხალხს ამ მოწერილობის შინაარსი და დაამატა, რომ თუ ყმაწვილებს არ წარმოადგენენ იმასთან, შკოლაში, ის მიიწერება პასუხად, რომ არავინ არი მსურველიო. მანამ თქვენი შვილებიო და ვინც ღირსი იქნება წარუადგენო. მეორე დღესვე მოგროვდნენ ყმაწვილები; ერთ კვირაზედ 34-ზე მეტი მოვიდა. ამათში სამი პატარა ქალებიც იყვნენ, რომლებიც ვაჭებში ისხდნენ და კარგა ხანი დადიოდნენ შკოლაში, მაგრამ უფუნურთა ენებმა ამოაკეთინეს იმათ ფეხი შკოლაში სიარულისა. მხლა რიცხვი მოსწავლეთა ორმოცდა ათი ალაგი რო იყვეს, მსურველები კიდე ბევრია.“

* * * თუ შეთიღამ და საზოგადოთ ძანკთიღამ—თელავის უფუდიღამ—გვწერენ, რომ იქ გიორგობისთვეშიაც სიცხეების გამო მეტად გამრავლებული იყო მინდვრის თავეები, რომლებთაც კაცთ ასობით ხედავდა ხოლმე რომ შეუპოვრად დახტოდნენ და დაძვრებოდნენ მიწა-მიწა, რომელიც თუშულანგივით ხშირ ნახვრეტებს წარმოუდგენდა ადამიანს. მსენი ისეთის იერიშით მიადგებოდნენ სახლებს, საყდრებს, შედიოდნენ შიგა და ერთი ყოფა ჰქონდათ. რომ კაცს ეგონებოდა საომრად მოსულანო. სახლებში კატები და ხაფანგები ვერ აღიოდნენ იმათ სიძრავლესო.

რაც შეეხება ადებს, ამ ომიანობას ერთობ გაუხშირებია ისინი: ვინც ბაი-რალს გაშლიდა და ორ კაცს იშოვნინდა ომში წასაყვანათ, ალათ წოდებულა.

მესამე მიზეზი—ღამ ოქუნა; პორტოფრანკოთ ბათუმის დატოვებამ სულ ბოლო მოულო ხალხს.

ხალხი ჩამოტყავდა, გატიტვლდა, არ იცოან რა ქნან, ვერ გამოუტანიათ-რა. იყიდონ, ისიც მამასისხლათ, სამი-ოთხი არშინი ჩანხვევის გამოტანა არ შეუძლიათ უბაჟოთ და მთელი დღე დამოქნის კარებზე დვას ბეჭდის დასასმელათ.

ხარის თავის განატყავები ქალამანი რომ იყიდოს, ისრეთივე დამოწმობა უნდა; ტანისამოსი იყიდოს ცოლშვილისათვის, უნდა ბაჟი მისცეს ოქრო ცხრადა ათ მანეთად ნაყიდი ხუთი მანეთის კვალზე, ან მანეთი ათ შაურათ! შუელი საიდან იშოვონ? მართი ღონის-ძიება აქვთ მენავეებს ფულის შოვნისა, აგრეთვე ზოგიერთ სოფლებს ვაშლის გაყი-

მაგრამ მოვიდა თოვლი, თოვლი—შენიანიშნავად დიდი, რომლის შესწავლა-ცა ხანია თურმე იქეთკენ არ ჰყოფილა, და გააქრო იმათი ხსენება. ახლა წამლათაც რო გინდოდეს, ერთს ვერ იპოვნითო.

თოვლმაცე თავები გადალუბა, მაგრამ გვესტუმრნენო ცოტა უფრო სხვილი და მავნებელი მხეცები,—მგლები, რომლებიც უშიშრად დატანტალებენ სოფელ-სოფელ. იინი ხროვათ ჩამოივლიან ხოლმე სოფელს ღამ-ღამით, თითქო „აბზოდიაო“ და ვაი იმ ოთხფეხის, თუნდა ორფეხისაც, ბრალი, რომელსაც ხელთ იგდებენ!

„დროების“ კორექსიონდენსია

ახმათიღამ თიანეთამდი, 10 იანვარს. (დასასრული.) ამ დროს ჩვენწინ მოისმა ხმა მდინარისა, რომელიც გიჟურად ორთა მთას შუა მორბოდა და ერთის დრიალით ემუქრებოდა მრისხანი ბუნებას! ეს არის მდინარე, რომელიც, როგორც, ჩვენი დაუფიწყარი პოეტი იტყვის, „მორბის და თან მოსძახიან მთანი ტყიანი და შეუპოვრად მოუთამაშებს გარემოს თვისსა ატეხილს ქალაბს.“ აქ მე, როგორც ქართველს, სწორე მოგახსენოთ გულმა არ მომითმინა და ერთი „შეგძახე ქართველურად“ დაბურულ თვალ უწვდენელ თოვლით გათეთრებულ მთებს და შეუდგეი აღმართს. ცხენებს გამოვლიათ ჰარაქათი და ბოლიშ მოუხდელად მიბაჯინეს ფეხები დედამიწას. ჩვენმა მალალ კეთილშობილებმა არ ითაკილეს კარგახანს ფეხით სიარული!

—ბევრი დავგრჩა კიდე გასაველელი გზა? მკითხე ჩემს მგზავრებს. იმათ გაეცინათ და მანუგეშეს, რომ ჯერ ნახუთა-ლიც ვერ გამოვიარეთ.

მე დღემდინს აქეთკენ არ მეველო და ეს გზა არ მენახა, მიკვირდა და დაუდგენელობას ვწერდი, რომ თიანეთში, მახრის ქალაქში ფოჩტა არ დადის! მაგრამ დღევანდელმა მგზავრობამ სულ

და ეხლა რომ ეხედავთ, ეხლა უმეტესი გავლენა აქვთ.

ნამდვილი ბეგები ცოტა არიან აქ. მინც კაი ავაზაკი იყო და შეიძენდა ცხოვრებას, თავის თავს ბეგს დაუძახებდა და სხვას ფულარას. ნამდვილ ადრინდელ საქართველოს თავად-აზნაურობას დაუკარგავს ღირსება ხვანთქრების წყალობით, რომლებმაც დაუტყუებიათ სიგელები და დაუხვეიათ.

არაიან კიდევ ძველი გვარები: სანჯაყბეგის შვილები ბათუმში, აბაშიძე გვარათ; ზემო-აჭარაში—ხიმშიაშვილები, თავდგირიძეები—შობულეთში და მათგანი ტრაპიზონის ფაშა ოსმან, რომელიც წინამწრობს აქაურ ხალხს და აღვლევებს; არიან ბეგები ბეჟან-მლლი—ჩაქვის; მაჭახელში არიან ძვირიტაძეები, რომელნიც უწოდებენ თავის თავს წულუკიძეებათ და მათგან ვიცნობ ორს: სულეიმან-ბეგს და ალი-ბეგს; სხვანიც მრავალი არიან.

დვით და ისიც ვერ გაუყარნიათ ფასათ.

ჩვენს სამზღვარზე გასატანათ ნაჩალნიკის ბილეთი უნდა ჰქონდეს, რომ ეს ვაშლი არის ამოდენი ფუთი და ნამდვილი ადგილობრივი და მაშინ ვაჭრები იყიდიან იმ ვაშლს და იმ ბილეთით უბაჟოთ გაიტანებენ.

მაჭრები ყიდულობენ ხალხისგან მხოლოთ ბილეთს და გააქვთ ტრაპიზონის ვაშლი. ამ ნაირათ გაიტანეს ბათუმიდან შეიდი ათასი ფუთი ტრაპიზონის ვაშლი. ამით ეძლევა ხარალი ხაზინასაც და მცხოვრებლებსაც და ნაჩალნიკებმა არც იცოდენ ზოგმა ეს ოინები და არც შეუძლიანთ დაუხედონ რამდენი ფუთი მიაქვთ ბათუმში და რომ იმას მისდიოს და მეტი საქმე არ გააკეთოს, მაინც წამოიღებს ვაშლს და ოთხ ნაჩალნიკს გამოართმევს ცალ-ცალკე ბილეთს.

მართი სიტყვით, ეს ბილეთი ბოროტება არის.

არა თუ ხალხი, თანამდებობის კა-



სხვა ფიქრი და საკვირველება დაბადეს ჩემში!...

თუშები და სს. ანმეტა და მატანი თიანეთზეა მიწერილი. მიკვირს, რატო არ თხოულობენ ესენი, რომ მიაწერონ თელავზედ, რომელიც გაცილებით უფრო ახლოც არის და გზაც სანატრელია! ზანა მთავრობა არ შეიწყნარებს ამათ თხოვნას! მუდამ იმას არ უნდა ცდილობდეს და ცდილობს კიდევაც მთავრობა, რომ ხალხს მანლობლად და მარჯვეთ ჰყავდეს უფროსი, სამართალი, რომ იმას გაჭივრების დროს შეეძლოს წასვლა-მოსვლა დაუბრკოლებლივ, საქმის გაკეთება ადვილად!.. და მართლაც ამბობენ, რომ რაც თიანეთის მყოფი მასრის უფროსი, თ. ჩოლოყაშვილი თელავის მასრის უფროსად გახდა, ეს სამი საზოგადოება ცდილობს, მოლაპარაკება აქვს და ახერხებს, რომ თელავში მიაწერონ. ამათ თურმე უფრო მასრის ქალაქის სიანლოვისათვის კი არ სწადიანთ ესა, — თ. ჩოლოყაშვილის სიყვარულისათვის. ამათ და საზოგადოთ მთელ მასრას ძალიან პატივის ცემისა და სიყვარულის გრძობა ჰქონიათ ამ კაცისა. მე ხშირად ვამიგონია ხალხისგან, რომ ის იმისთვის ნამდვილი გზის მაჩვენებელი, და მრიგებელი მამა, ერთგული ძმა, კანონიერი მოსამართლე და უფროსი არის, ანუ მოკლეთ და ხალხის სიტყვით, „იმისთანა კაცი არ შეიძლება სხვა იყვის“ ხალხისათვის!

„ბევრი სიკეთე უნდა დაეთესნოს კაცსა,“ რომელსაც ერთი სიყვარულით იგონებს ხალხი! „აღმათ კარგ კაცსაც თაფლი აცხია,“ რომ ყველა იმის სიტკბოებას და სიამოვნებას იგონებს! თელაველებმაც არა ნაკლებს სიხარულითა და სიყვარულით მიიღეს და მიეგებნენ ამ ყოვლად პატიოსანს გვამს.

ის სრული თანამგრძობელი, მშველელი და დამხმარებელია სასოფლო შკოლებისა, სასოფლო „გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობისა,“ „დამზოგველი საზოგადოებისა“ და სს.

ციც, რომელიც ბათუმის ვარეთ ცხოვრობს, ძრიელ შეწუხებულია: ვერ გამოუტანიათ არა თუ სხვა რამე, სტუმრისათვის სასმელი და ეგ კიდე არაფერი, კანცელარიისთვის სკამი და სტოლი. შოველ გამოსვლაზე ქალაქიდან გაჩნრეკა.

ბუშინწინ ერთი მაიორი იყო სტუმრებს შორის, რომლებმაც ღამე გაათიეს ჩემთან. რასაკვირველია, დიდათ სასიამოვნო იყო, მაგრამ დიდათ უსიამოვნოთ დამჩნა, რომ სასმელის ადგილი ჩემ სუფრაზე შრომის წყალმა დაიჭირა.

მრთი ახირებული ამბავიც მიაგზო ამ მაიორმა:

ღამოქნის წინ ერთი თათარი იდგა და კალათი ეკიდა ზურგზე და ბოლოს სთხოვა გაშინჯონ, რადგანაც სოფელში მიდისო.. იმ კალათში პატარა ბოვში უჯდაო; ეგონათ, რომ ქვეშ ეწყობოდა რამე კონდრაბანდი და ჩაყვს ხელი და მართლაც უნებურათ ხელს ამოყვა ნივ-

სწორეთ ცოდვილთათვის სასუფველის გზა მაგონდებოდა, როცა ცხენზედ ვიჯექი და თვალ გაფაციცებული მივდიოდი ტყე-ტყე, კოდე-კოდე, ღრანტე-ღრანტე; ცხენზედ თავისუფლად ჯდომას ვერ ვებედადი, მაღლა-მაღლა ვიწყოდი და ასე მეგონა ჰაერზედ ვიჯექი-მეთქი.

ბევრი ბეწვის ხილები გავიარეო, ბევრი „ენთა შავსდეთ, ეხლა ჩამოვსდეთ“ დაეხარჯეთ და ბოლოს, ხშირ ბინდის დროს გამოჩნდა თიანეთი. მე ის სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილიო...

პირველად შეგვხვდა რამოდენიმე საცოდავი ფიცრული, ან მოწწული სახლები, რომლებიც უფრო საღარეებსა გვანდნენ. მაგრამ საზოგადოთ სოფლის ანგარიშზედ კარგი სოფელია. 173 კომლიანი ჰყოფილა, ე. ი. 173 სახლიდამ ამოდის კომლი! ბევრი კარგი შენობები იბოება შუა სოფელში; ნამდვილ ევროპიულ გემოზედ გამართულები. პირველად მე დამანახვეს საქალო და სავაჟო შკოლის შენობა, რომელიც სულ განზედ გადგარა და ამპარტავენულად გაცქერის მთელ სოფელს. ძალიან მსურდა შკოლაში შესვლა, მაგრამ დალოცვილმა ცუდმა ამინდმა ნება არ მოგვცა.

საღდათებზეთ შეეიტუხენით მიკიტნის დუქანში და გაციებულებმა დავიფიქრეთ: „დავაი ვოტკი!“ მედუქნები დუტრილდნენ და ისე მიგვიღეს, რომ უცნოს ეგონებოდა, ესენი დიდი ხნის დამეგობრებულები უნდა იყვნენო. ბევრი ალერსი და ტკბილი სიტყვები შემოეხარჯათ და მეორე დღეს, წამოსვლის დროს, გვაცნობეს ყველა ამეგების ამ გვარი კაცთ-მოყვარეობის მიზეზები!...

სირბილაძე—ბედარულიაძე.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი

მრ დეპუტატს უკიდურეს მარცხენა მხრისას—მარკუსა და ბაროდეს—შეუტანიათ ნაციონალურს პრებაში წინადა-

თი, რომელიც მოსახმარისი არის ერთი ცხოველისათვის, რომელიც მაჰმადისგან შეჩვენებულია.

მეოთხე მიზეზი არის სიმძულვარე ქრისტიანის, რომელიც მიაწევს უმაღლესს ხარისხამდე ფანატიზმისა გამო. ამაში ხშირად ვრწმუნდები აქ, მაგრამ შემდეგი მაგალითი უფრო ცხადათ გვიჩვენებს: ორ ხუროს მარადილელებს *) იატაკს ვაგებინებდი სახლში. უცრად მუშებმა თავი დაანებეს მუშაობას. რომ ვიკითხე მიზეზი, მითხრეს, რომ ისინი დღით მარხულობენ, რამაზანის დროს ავთ იყვნენ და ვერ შეინახეს და ეხლა ნაცვლათ მისა ასრულებენო, და მუშაობის დროს ოსი შემოვიდოდა და გაიჟრის სიმყრალის სუნი გვეცაო!

სხვა რამოდენიმე მიზეზებიც არის ამ

*) მორადეთი წარმოდგა სიტყვისაგან „მარანი დიდი“, რომელიც იყო აშენებული თამარ დედოფლის დროს. ავტ.

დება იმის თაობაზედ, რომ ნაციონალურ სიმღერად იყოს საფრანგეთში შემოდებული. ამ წინადადების პასუხად სამხედრო მინისტრმა ღენ. ბრესლიემ გამოაცხადა, რომ იმან უკვე მოახდინა განკარგულება, რომ „მარსელიეზას“ სიმღერა ისე იყოს აღიარებული არმიადში, როგორც ნაციონალური სიმღერა.

ბოლგარია

მრთს ფრანკუზულს გაზეთში დაბეჭდილია ბულგარიაში მყოფის რუსის კომისარის თ. ღანდუკოვ-ძორსაკოვის სიტყვა, რომელიც იმას უთქვამს ბოლგარიის დეპუტაციისათვის:

„შოვლად შეუძლებელია, რომ ბოლგარიამ თავის მთავრად რუსი ამოირჩიოს. რუსეთს ჰსურს სრული თავისუფლება მიანიჭოს ბოლგარიის ხალხს. რუსეთს არ ჰსურს, ვინმემ სთქვას, რომ იმიტომ გაათავისუფლა ბოლგარიაო, რომ შემდეგ თვითონ ჩაიგდოს ხელშიო. ამგვარადვე შეუძლებელია, რომ თქვენ ოსმალეთის ქვეშევრდომი ამოირჩიოთ მთავრად. შევლავ უკეთესი მთავარი ისეთი კაცი იქნება, რომელიც არც ერთ მეფის ოჯახს არ ეკუთვნის, რომელიც არც ერთ სახელმწიფო გავლენისა, და ზედ-მოქმედების ქვეშ არ იქნება და რომელიც მამასადამე დამოუკიდებელად და თავისუფლად განაგებს ამ პატარა ახალ სამთავროს.“

ოსმალეთი

„პოლიტიკურს ძორსაკოვანდენციაში“ დაბეჭდილია 2 თებერვალს სტამბოლიდამ მიღებული შემდეგი ტელეგრაფამმა:

„აქ მოვიდა აღრიანოპოლიდამ ტელეგრაფამა რეუფ-ფაშისა, რომელიც იწერება, ღენ. ტოტლებენმა მითხრაო, რომ 9 მარტამდინ გაეყვანთ ოსმალეთიდამ ჩვენს (რუსის) ჯარსაო. ბოლგარიაში დარჩებოა მხოლოთ 50,000 რუსის ჯარი, როგორც ბერლინის ტრაქტატისაგან არის დადგენილიო.“

ხალხის თავის ქვეყნიდამ გადასახლებისა, ზოგიერთ მასრებში საშინელი შიმშილობა და სიღატაკე ჩამოვარდა ხალხისა.

ზაზაფხულიც კარს გვირახუნებს, ენახოთ რა იქნება. ამ ქამათ მილიციას ვაგროვებთ ამ ხალხისაგან; ოსმან-ფაშა აქარის სანჯაყბეგიშვილი კი თავისთვის აგროვებს ხალხს ტრაპიზონში ამავე ხალხისაგან.

სამზღვარი არ გვიჩვენებს ჯერ ოსმალის დელეგატებმა და წაყიდნენ. ხალხში ზოგი დარწმუნდა, რომ სამზღვარი დედამერას წყალი არისო, ბათუმიდან სამი-ოთხი ვერსი, სადაც დამოქნის ყარაულია. ხალხი ორ ცეცხლ შუა არის.

საჩქაროქანმარება ეჭირება იმას და საზოგადოთ ყველა აქაურ არეულ-დარეულ საქმეებს წესზედ და რიგზედ მოყვანა...

თ. დ. წ.

მაკახელა, 5 თებერვალს.

(დასასრული შემდეგ №-ში)



განცხადებანი

პირუტყვით მფარველობის საზოგადოების წევრნი და აგრეთვე ყველანი, ვისთვისაც ეს საგანი საინტერესოა, მოწყვეტონ არიან მობრძანდნენ ამ საზოგადოების საერთო კრებაზედ, ამ თებერვლის 20-ს, პავსასიის სამიურნეო საზოგადოების სადგომში, ალექსანდროვის ბაღში, ბარათინსკის ქუჩაზე.

(3-1)

შუ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. პ. მესხის მალაზიაში იხილდებოდა

„მანი ჭკუისაგან“

ქომედა ოთხ მოქმედებად მ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა ნ ა თ ა რ გ მ ნ ი მ რ . ა . წ ი ნ ი მ ძ ლ ე ვ რ ო ვ ი ს - მ ი ე რ .

შასი—ქმისი შაური

(3-3)

რუსის ჩინს ვაჭრობისაგან

ახლად მიღებულია საუკეთესო **ჭუ-ჩუანის ჩაი** 10,000 გირვანქა.

შასი გირვანქა ჩაისა 1 მან. და 20 კაპეიკი 8 მანეთად. მე მივიღე ჩემი მუშტრებისაგან ჭუჩუანის ჩაისთვის ბევრი მადლობა წერილით. იმედი მაქვს, რომ მომავალი ჩემი მუშტრები კიდევ უფრო კმაყოფილი დარჩებიან.

შეიძლება გირვანქობით ყიდვა და ნარდათაც. მალაზია კისრულობს თავის ხარჯით გაგზავნოს ფორტითა.

ადრესი მალაზიისა: მიხაილოვის ხიდი, მარზოვის სახლი, „პავსასიის“ რედაქციის ქვემოთ.

ვაჭარი ა. პოლოსუნი.

ანგარიში საბუ-ენისლის გამსახველ-უმანახველი ამხანაგობისა

1878 წლისა

1 იანვარს 1878 წელსა იყო:

წილადი ფული	მან.	კაპ.
სასარგებლოდ შემოტანილი	1650	57
სათადარიკო თანხა	2321	83
წმინდა მოგება	21	65
	458	42

ჯამი 4452 47

1878 წელს არის:

შეშოსავალი.

წილადი ფული	მან.	კაპ.
სარგებელი დაჭერილი გასესხების ანუ ახალი ვადის მიცემის დროს	871	64
ჯარიმა	523	96
დაბრუნებული სესხები	12	97
სასარგებლოდ შემოტანილი	5512	
სათადარიკო თანხა	155	76
	41	5

ჯამი 7117 38

1 იანვარს 1879 წელსა არის:

წილადი ფული	მან.	კაპ.
სასარგებლოდ შემოტანილი	2498	21
სათადარიკო თანხა	2477	59
წმინდა მოგება	62	70
	554	90

ჯამი 5593 40

თავსჯდომარე რჩევისა: თ. ბიორგი ჯორჯაძე

- წინიკო მკვლდიშვილი
- ლევან ბაკაშვილი
- სვიმონა ხეჩიაშვილი
- ლ. ზარე ნერსესაშვილი
- ივანე ღათიაშვილი

9 თებერვალი 1879 წ. ს. მინელი

მან.	კაპ.
მასესხებული	3624 50
ნაღდ ფულად	727 97
საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი	100

ჯამი 4452 47

მასავალი.

მან.	კაპ.
წილადი ფული	24
მოგება 1878 წ. წილადებზე მიცემულ	155 76
მასესხებული	7174
სარგებელი დაბრუნებული ვადაზე წინ გადახდილის სესხისა	2 10
სამმართველოს ხარჯი	116 80
აღებ-მიცემობის გასავალი	165 79

ჯამი 7638 45

მან.	კაპ.
მასესხებული	5286 50
ნაღდ ფულად	206 90
საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი	100

ჯამი 5593 40

მმართველნი } მანო როსტომიშვილი
 } მამა ჩახტატოვი
 } ნიკო ძონჯოშვილი

რპ. ზზა.	დღა.	ს.ლაპ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან.კაპ.	მაზანდა	მან.კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	მ.კაპ.	8.კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 14 თებერვ.		მრვენს მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	პავსასიის აქეთა მზრის ყველა ქალაქებში.	50	შქე. თფ. მანჯისა, ფთ.	160	ავათმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი	11 5	9 43	240	133	როსტოვს, მდგესს, მოსკოვს	2	ჭერი ფული	120	მ. რ. შაბათს: მერმიშვილი და ბა- რალევიჩი—შინაგ. ავათ., ქუჩა- როინა—საჯარო ექიმი და საშვი- ლოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	392	218	პეტერბურს, მარშაფს.	2	ბამა მრვენისა, ფული.	750	სამ შაბათს: მერმიშვილი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—სამბიო და ბავ- შვის, პეტროვო—თვალის.
სურამი	1 44		442	246	ოსმალეთში, შვეიცარიაში.	3	ამერიკისა, ფული.	880	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი ში- ნაგანი.
შვირილი	5 49		581	323	იტალიაში და საფრანგეთში.	350	ბაპენტილი ბამა ფული.	950	სხუთ შაბათს: მერმიშვილი—ში- ნაგ. ქ. უჩარიაონცი—სიდილიტიკუ- რი და საშარდგ ორგანების.
რიონი	6 5		675	375	ინგლისში	375	მატყელი თუშური ფული.	670	პარასკევს: მერმიშვილი—შინაგ., ა. ბახტოვი—სამბიო ქალისა და ბავშვების.
სამტრედია	7 51		773	429	ზოგად		თარქამისა ფული.	460	თამაშკო, ს. შულო ფთ.
ახალ-სენაკი	8 43		857	476	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ბ) ქუთაი- სიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა მსურ- გვთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმში ნუხური სტ. მონი, ფული	210	
შოთი	9 50		975	542	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მონის სანთელი ფული.	540	
შოთი	9 3				ლია წიგნის	4	სტეარინის სანთელი, ფთ.	745	
ახალ-სენაკი	10 14		118	6	დაბედილის (ხამი მისხალი)	8	ხორცი ძროხისა, ლიტ.	18	
სამტრედია	11 5		26	14			ცხვრისა, ლიტრა	18	
რიონი	12 13		3	169			სპირტი ვედრო	460	
შვირილი	1 18	ლაპ.	39	221			შაქარი, ბროც. ფული	735	
სურამი	5 12		110	533			ფუნჯილი ფული	540	
ხაშური	5 39		137	584			შავა გრვალის, გირვ.	70	
ზორი	7 5		487	364			ხეთი ქუნჯუთისა ფული	1240	
მცხეთა	8 50		659	985			თამაშკო, ს. შულო ფთ.	670	
თფილისი	9 31		756	975					